PDF Eraser Free

დანართი №1

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ამაგის“ საგანმანათლებლო პროგრამების - "საექთნო განათლება" და "ფარმაცია (სააფთიაქო)" - მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ რემიშვილი

წევრები:

თათია კაციტაძე

ინგა ბაქრაძე

{თბილისი, 2020}

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ამაგი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შპს**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

II. მონიტორინგის სახე:

☐ გეგმიური

■ არაგეგმიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით (2020 წლის 12 ივნისის №464678 ოქმი) სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდეგომში ცენტრი) დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის N910411 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დოკუმენტების შესწავლის გზით შპს საზოგადოებრივი კოლეჯი "ამაგის"(შემდგომში კოლეჯი) საგანმანათლებლო პროგრამების „საექთნო განათლება“ ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებისა და „ფარმაციის (სააფთიაქო)" ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ), ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტების შესრულების შემოწმება (არაგეგმიური მონიტორინგი).

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია და შესწავლილი მასალების საფუძველზე მოითხოვა დამატებით საჭირო დოკუმენტები.კოლეჯმა 2020 წლის 12 ოქტომბერს ცენტრში N 979822 წერილით წარადგინა დამატებითი დოკუმენტები, რომლებიც გამოეგზავნა ექსპერტთა ჯგუფს. ექსპერტთა ჯგუფს ასევე გამოეგზავნა 2020 წლის 12 ოქტომბერს ცენტრში N979833 წერილით გაგზავნილი კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "საექთნო განათლების" განვითარების მიზნით დამატებით გაფორმებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები; ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დამატებით გამოიკვეთა ექსპერტთა ჯგუფის მიერ სსიპ აბრამიშვილის სახელობის გორის სამხედრო ჰოსპიტალის წარმომადგენელთან გასაუბრების საჭიროება, სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფის გადამოწმების მიზნით შემდეგ მოდულებზე:

- კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია.

ჰოსპიტალის წარმომადგენელთან გასაუბრება განხორციელდა პლატფორმა ზუმის მეშვეობით.

წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მომზადებული დასკვნის თანახმად, დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ მე-2 ავტორიზაციის სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც მეტწილ შესაბამისობაში, რადგანაც 2.3 და 2.4 კომპონენტი შეფასდა მეტწილად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, ზემოაღნიშნული პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.3 და 2.4 კომპონენტები ექსპერტთა მიერ შეფასდა სრულ შესაბამისობაში და შესაბამისად ზემოაღნიშნული პროგრამა არის უკვე „სრული შესაბამისი“.

წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მომზადებული დასკვნის თანახმად, დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაციის (სააფთიაქო)“ მე-2 ავტორიზაციის სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც მეტწილ შესაბამისობაში, რადგანაც 2.2, 2.3 და 2.4 კომპონენტი შეფასდა მეტწილად.

მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, ზემოაღნიშნული პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.2, 2.3 და 2.4 კომპონენტები ექსპერტთა მიერ შეფასდა სრულ შესაბამისობაში და შესაბამისად ზემოაღნიშნული პროგრამა არის უკვე „სრული შესაბამისი“.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

<u>პროგრამა „საექთნო განათლება“ 2.3 და 2.4 კომპონენტებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შედეგები:</u>

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

რეკომენდირებულია გადამუშავდეს კოლეჯის ხარისხის მართვის ინსტრუქცია, პროგრამის შეფასების მექანიზმში მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული შრომის ბაზრის მოთხოვნების და საუკეთესო საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკის შესწავლის ინსტრუმენტები და შემუშავდეს ასევე კვლევისთვის საჭირო გამოკითხვის ფორმები. <u>**სტატუსი-შესრულებული;**</u>

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს სპეციალურ ჩანაწერებს კლინიკასა და დაწესებულებას შორის დასარეგულირებელი საკითხების, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია განაახლოს გაფორმებული ხელშეკრულებები, ხელშეკრულებების მე-4 მუხლის 4.1.2 პუნქტის ჩანაწერი ,,უზრუნველყოს დამკვეთის პროფესიული სტუდენტები პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებით შესაბამისი პროფესიული განათლების მასწავლებლის მეშვეობით, რომელთა შერჩევა განხორციელდება პროფესიული განათლების შესახებ კანონის მე-12 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად“, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებას თან ახლავს დანართი, რომელიც მოიცავს პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნას ჩარჩო დოკუმენტის ჩანაწერის შესაბამისად, თუმცა არასრულყოფილად, რეკომენდირებულია დაწესებულებამ ზუსტად გადმოიტანოს ჩარჩო დოკუმენტიდან ხელშეკრულების სპეციფიკის გათვალისწინებით მოთხოვნები და შესაბამისობაში მოიყვანოს ერთმანეთთან. **<u>სტატუსი-შესრულებული;</u>**

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

- დაწესებულების მიერ შემუშავებული პროცედურების საფუძველზე ჩატარდა ანალიზი განსაზღვრული ვადების მიხედვით, დაშვების წინაპირობების დაცვით, რამდენად შეუძლია პროფესიულ სტუდენტს არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში გაასაჩივროს შედეგები და დაელოდოს გასაჩივრების შედეგებს, ისე რომ სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შემდეგ მოდულზე (რომლის წინაპირობას არის მოდული, რომლის შედეგებიც გაასაჩივრა სტუდენტმა შეძლოს სასწავლო გეგმით დადგენილ ვადაში დასწრება) ანალიზმა აჩვენა შემდეგი: თუ მოდული სხვა მოდულის წინაპირობაა პროფესიულ სტუდენტს ეცნობება სამი სამუშაო დღის ვადაში, სტუდენტი უფლებამოსილია გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს, სასწავლო პროცესის მენეჯერი საჩივრის მიღების ვადის ამოწურვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს ნაშრომის განხილვას პროცედურის დაცვით და საბოლოო გადაწყვეტილება ეცნობება სტუდენტს, დღეების რაოდენობა გამოდის 7 სამუშაო დღე, თუმცა სასწავლო გეგმით რიგი მოდულების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს აქვს ერთკვირიანი ვადა მიცემული, რომ სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა დააკმაყოფილოს, აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია მოიყვანოს სასწავლო გეგმა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ერთმანეთთან შესაბამისობაში, რომ არ დაირღვეს პროფესიული სტუდენტის ინტერესები. **<u>სტატუსი-შესრულებული;</u>**
- ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუ ნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით უნდა განხორციელდეს: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმით უნდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დარეგულირდეს მინიმუმ შემდეგი საკითხები: ვინაა პასუხისმგებელი, ვინ ახორციელებს, შერჩევის პრინციპები (მ.შ. რისკების სისტემა), ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, დასკვნის, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმის შემუშავება. აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელში აღნიშნულ პროცედურას და მოიყვანოს შესაბამისობაში ახალ სტანდარტებთან. **სტატუსი-შესრულებული;**

<u>პროგრამა „ფარმაცია(სააფთიაქო)“ 2.2 , 2.3 და 2.4 კომპონენტებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შედეგები:</u>

- სასურველია, სასწავლო პროცესის განახლებამდე, მოხდეს სს გეფას მენეჯერების გადამზადება შეფასების ორგანიზების და განხორციელების მიმართულებით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და ხარისხის მენეჯერის ჩართულობით; **სტატუსი-შესრულებული;**

- სასურველია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის შემუშავების პროცესში გაითვალისწინონ ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური შეფასების პრინციპები, რათა კვლავაც დაცული იქნას პროფესიული სტუდენტების უფლებები და სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულ იქნას მათი შემდგომი განვითარებისათვის; **სტატუსი-შესრულებული;**

- სასურველია, ახალი რეგულაციების შემუშავების პროცესში გაითვალისწინონ და გააერთიანონ სხვადასხვა დოკუმენტებში ერთიდაიმავე საკითხებზე გაკეთებული ჩანაწერები, დუბლირების თავიდან ასაცილებლად. **სტატუსი-შესრულებული;**

დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება პროგრამისთვის „საქართო განათლება“

პროგრამის სახელწოდება	*საქართო განათლება*
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	*მეხუთე*
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	*უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საქართო საქმეში*
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	*0913*
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	*N74 04.09.2019;* *N89 20.09.2019;* *N5 20.02.2020;* *N37, 15.05.2020;*
პროგრამის განხორციელების ენა	*ქართული*
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	*ცხინვალის გზატკეცილი N9, ქალაქი გორი, გორის მუნიციპალიტეტი, 1400, საქართველო*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	*მოდულური*
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	*84 პროფესიული სტუდენტი ცხინვალის გზატკეცილი N9, ქალაქი გორი, გორის მუნიციპალიტეტი, 1400, საქართველო განხორციელების სწავლების ფორმა მოდულური*
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	*180*
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	*210*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება პროგრამისთვის საექთნო განათლება

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	**მეტწილი 2***	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

***ექსპერტთა მიერ კომპონენტი 2.4 შეფასდა, როგორც სრული შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება პროგრამისთვის საექთნო განათლება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, მექანიზმების შემუშავების მიზანია სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, სრულყოფა და მონიტორინგი, სასწავლო და მატერიალური რესურსის ეფექტური გამოყენება და მისი განვითარება. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი ქმნის კოლეჯის ერთიან პოლიტიკას, რათა ხელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. სამადაური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ზაქრაძე

PDF Eraser Free

შეუწყოს პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, სასწავლო საგანმანათლებლო გარემოს დაგეგმვას, შეფასებასა და მუდმივ განვითარებას. სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: დაგეგმვა, განახორციელება, შეფასება, გადახედვა/გაუმჯობესება;

შიდა ხარისხის სისტემის მუდმივი გაუმჯობესება ხორციელდება შიდა და გარე ფაქტორებისგან მიღებული უკუკავშირის გაანალიზებით; შიდა შეფასება -კოლეჯის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შიდა შეფასება, შეფასების შედეგებზე რეაგირება მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით. გარე შეფასება - ავტორიზაციის პროცესში მიღებული შეფასებები (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი); ასვე, შეფასების მიზნით მოწვეული ექსპერტების შეფასება, შეფასების შედეგებზე რეაგირება მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

სწავლების ხარისხის შეფასებისთვის მოწმდება: საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამაში შემავალი ცალკეული კომპონენტები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, სასწავლო გარემო, პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა დასაქმების მაჩვენებლის შესწავლის გზით. ხარისხის სრულყოფისათვის კოლეჯი იყენებს სასწავლო პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მექანიზმს, რაც გამოიხატება პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, კურსდამთავრებულების რეგულარული გამოკითხვის საშუალებით.

წინა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად გადაიხედა და დაიხვეწა კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება. ნათლად ჩამოყალიბდა პროგრამის შეფასების და განვითარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მექანიზმი/დაიხვეწა კვლევისათვის საჭირო გამოკითხვის ფორმები. შემუშავებული კითხვარების მეშვეობით განხორციელდება დამსაქმებელთა კვლევა, სადაც იკვეთება ბაზრის საჭიროება, დასაქმების მიდგომები, კოლეჯის კუსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, კოლეჯის კურსდამთავრებულთა თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების კვლევა . პროფესიულ სტუდენტთა სერვისების და მომსახურეობის კმაყოფილების კითხვარი ასევე იძლევა შესაძლებლობას, შეფასდეს შრომის ბაზრის მოთხოვნები. კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებების გათვალისწინებით ხორციელდება შრომითი ბაზრის მოკვლევა. ასევე საქართველოს სხვა პროფესიულ სასწავლებლებში არსებული მსგავსი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კვლევის ანალიზის მოძიება შესწავლა, რაც ხელს უწყობს კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურ განხორციელებას. **ექსპერტთა მოსაზრებით პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას.**

2. ყოველწლიურად, სასწავლო წლის დასრულების შემდეგ კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და კოლეჯის ადმინისტრაცია განიხილავს ჩატარებული კვლევების შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ გამოგზავნილი კვლევის შედეგები და კოლეჯის ხარისხის მენეჯერის ანგარიში და რეკომენდაციები; კოლეჯის პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამების განმახორციელებელი და კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის შენარჩუნების, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამების განვითარების 2017-2018-2019 წლების დინამიკა; 2017-2018 სასწავლო წლის პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში; პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა 2018, 2019 და 2020 წლის ანგარიშები; ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის მიერ გამოგზავნილი ანგარიშები და რეკომენდაციების საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ამაგის“ დირექტორის მიერ N 64 ბრძანებით 01.07.2020 დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება ;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ამაგის“ ხარისხის მენეჯერის ანგარიშები;
- 2017-2018 სასწავლო წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევა;
- 2020 წლის პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამების განმახორციელებელი და კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის შენარჩუნების, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამების განვითარების 2017-2018-2019 წლების დინამიკა;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას; ექსპერტთა შეფასებით სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა (არაუმეტეს 40 სთ), კალენდარული გეგმები შემუშავებულია სასწავლო გეგმის შესაბამისად. ექსპერტებმა შეისწავლეს პროგრამის სასწავლო გეგმა და 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარული გეგმა, რომელიც წარმოადგენს მოდულების სწორად განხორციელების დადასტურებას. სასწავლო კალენდარული გეგმის ფორმა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ.
2. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოწესრიგებულია კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებით, კოლეჯის მარეგულირებელი დებულებით/მუხლი8 და საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამით.სასწავლო პროცესის მენეჯერი კოორდინაციას უწევს კოლეჯში სასწავლო პროცესს და პასუხისმგებელია სასწავლო პროცესების ეფექტურად ორგანიზებასა და მართვაზე. სასწავლო პროცესის მენეჯერი ახდენს პროფესიულ სტუდენტთა მომსახურებას, მათ შორის მათ ინფორმირებას გონივრულ ვადებში. სასწავლო პროცესის მენეჯერი ორგანიზებას უწევს სტუდენტურ აქტივობებს, პროფესიულ სტუდენტთა სოციალიზაციის მიზნით სპეციალური საჭიროების მქონე პირთა საჭიროებების განსაზღვრა-მომსახურებას და ადაპტირებული გარემოს შექმნას და პროფესიული სტუდენტების სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფას;

3. ექსპერტთა შეფასებით „საექთნო განათლების“ პროგრამით/მოდულებით განსაზღვრული სწავლების თანამედროვე მეთოდები და შესაბამისი ტექნოლოგიები, რაც დარგის მოთხოვნების შესაბამისია.
4. წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციის გათვალისწინებით ახალი რეგულაციების შემუშავების პროცესში გაერთიანდა სასწავლო პეროცესთან არსებული ყველა საკითხი და ჩამოყალიბდა ერთ სასწავლო მარეგულირებელ დებულებად, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ. ექსპერტთა შეფასებით დებულებაში ინდივიდუალურ საჭიროებად განხილულია ყველა შემთხვევა, როდესაც პროფესიული სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება, როგორიცაა სტატუსშეჩერებული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში, მობილობა, წინამსწრები ფორმალური განათლების აღიარება, პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები. ასეთი შემთხვევებისათვის დაწესებულებას გააჩნია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა, რომელიც საჭიროების დაზუსტების და სტუდენტის ჩართულობის გზით უზრუნველყოფს მისთვის ყველაზე ოპტიმალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სასწავლო გეგმის შედგენას და დამტკიცებას. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის მორგებული სერვისების შეთავაზების პირობებს მოიცავს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება/მუხლი 39 და პროგრამა.

5. პროგრამის „საექთნო განათლება“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ დაწესებულებებთან:

1. სსიპ გორის გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალთან - ხელშეკრულება ითვალისწინებს კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისათვის კლინიკის ბაზაზე ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას, კლინიკაში არსებული მიმართულების შესაბამისად. ამავე ხელშეკრულების შეთანხმება N 1-ის მიხედვით მე-2 პუნქტის მე-2.3 ქვეპუნქტით შემსრულებელს შეუძლია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას ერთდროულად მიიღოს **56** პროფესიული სტუდენტი. კლინიკის ბაზაზე იგეგმება შემდეგი კლინიკური მოდულების განხორციელება:

1) თეორიული სწავლება - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები;

2) კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;

3) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;

4) კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;

6) კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;

7) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;

8) კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;

9) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;

10) კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია;

11) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია.

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ექსპერტების მიერ განხორციელდა გასაუბრება სსიპ გორის გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის წარმომადგენელთან პლატფორმა ზუმის მეშვეობით. გასაუბრების დროს ექსპერტებმა გადაამოწმეს სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფა შემდეგ მოდულებზე:

- კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია.

კლინიკის წარმომადგენელმა დაადასტურა მზაობა პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკაზე მიღების და აღნიშნული მოდულების ეფექტურად განხორციელების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. შპს გორმედთან“ - ხელშეკრულება ითვალისწინებს კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისათვის კლინიკის ბაზაზე ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას, კლინიკაში არსებული მიმართულების შესაბამისად. შემსრულებელს შეუძლია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას ერთდროულად მიიღოს **40** პროფესიული სტუდენტი. კლინიკის ბაზაზე იგეგმება შემდეგი კლინიკური მოდულების განხორციელება:

1) კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;

2) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;

3) კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;

4) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;

5) კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;

6) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;

7) კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;

8) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა.

3. სს „იავნანასთან“ - ხელშეკრულება ითვალისწინებს კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისათვის კლინიკის ბაზაზე ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პრაქტიკული კომპონენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
განხორციელებას, კლინიკაში არსებული მიმართულების შესაბამისად. შემსრულებელს შეუძლია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას ერთდროულად მიიღოს **40** პროფესიული სტუდენტი. კლინიკის ბაზაზე იგეგმება შემდეგი კლინიკური მოდულების განხორციელება:

1) კლინიკური პრაქტიკა- სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;

2) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;

3) კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები;

4) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები.

4. ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“ - ხელშეკრულება ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების დაშვებას და სწავლებას საექთნო განათლება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების: გერონტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები, შინმოვლა თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტზე. თითოეულ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს **20-ს.**

ექთნებთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით,დასაქმებელი უფლებამოსილია: არ დატოვოს რეაგირების გარეშე პროფესიული სტუდენტების მხრიდან დაგვიანება გაცდენებისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას დისციპლინის დარღვევის და წახალისების ფაქტები. ექთნების საკვალიფიკაციო მოთხოვნები დასტურდება ხელშეკრულების დანართით წარმოდგენილი ექთნების პირადი საქმეებით, ინგლისური ენა A1 დონე - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ამაგის“ დირექტორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ბრძანება N16 11.04. 2019 წელი კოლეჯის ინგლისური ენის სასერთიფიკაციო პროგრამის მსმენელთა ჩარიცხვის შესახებ. მსმენელებად ჩაირიცხენ პროგრამის საექთნო საქმის განმახორციელებელი ექთნები და შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ამაგის“ დირექტორის ბრძანება N41 14.06. 2019 წელი კოლეჯის ინგლისური ენის სასერთიფიკაციო პროგრამის მსმენელებზე სერთიფიკატების გაცემის შესახებ (შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „ამაგი“ წესდების შესაბამისად). რაც შეეხება კომპიუტერული უნარებს - საოფისე პროგრამების კარგი ფლობა- გასაუბრებით დგინდება, რომ ექთნებისათვის, რომლებიც მუშაობენ კლინიკებში (უფროსი ექთნები - პროგრამის საექთნო საქმის განმახორციელებლები), სავალდებულოა საოფისე პროგრამების კარგი ფლობა, კლინიკებს სამსახურში მიღების წინაპირობად უდევთ.

წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ზუსტად გადმოიტანოს ჩარჩო დოკუმენტიდან ხელშეკრულების სპეციფიკის გათვალისწინებით მოთხოვნები.

მიმდინარე ადმინისტრაციული წარმიების დროს მოწოდებული დოკუმენტაციის შესწავლის საუძველზე ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ დაწესებულებამ, არსებული რეკომენდაციის თანახმად, 2020 წლის 15 მაისს შეიტანა ცვლილებები პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან (ს.ს.ი.პ გორის გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი; შპს „გორმედი“; სს „იავნანა“) დადებული ხელშეკრულებების მე-4 მუხლის 4.1.2 პუნქტის ჩანაწერში, რითაც ისინი სრულ შესაბამისობაში მოვიდა პროფესიული განათლების შესახებ კანონის მე-12 მუხლის მოთხოვნებთან, კერძოდ პრაქტიკის ობიექტზე კლინიკური პრაქტიკის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განმახორციელებელი ექთნის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და ექთანი ინსტრუქტორი/პროფესიული სტუდენტის თანაფარდობასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა შეფასებით წარმოდგენილი ხელშეკრულებებით სრულად უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა. ადმინისტრაციული წარმოების განმავლობაში დაწესებულებამ დამატებით გამოაგზავნა 2 მემორანდუმი და ხელშეკრულება პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ ობიექტთან, კერძოდ 06.10.2020 გაფორმებული მემორანდუმი და ხელშეკრულება შპს „ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრთან“- ხელშეკრულება ითვალისწინებს კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისათვის კლინიკის ბაზაზე ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას, კლინიკაში არსებული მიმართულების შესაბამისად. ამავე ხელშეკრულების შეთანხმება N 1-ის მიხედვით მე-2 პუნქტის მე-2.4 ქვეპუნქტით შემსრულებელს შეუძლია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას ერთდროულად მიიღოს **28** პროფესიული სტუდენტი **და 07.10.2020 გაფორმებული მემორანდუმი და ხელშეკრულება „შპს აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრთან“** ხელშეკრულება ითვალისწინებს კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისათვის კლინიკის ბაზაზე ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას, კლინიკაში არსებული მიმართულების შესაბამისად. ამავე ხელშეკრულების შეთანხმება N 1-ის მიხედვით მე-2 პუნქტის მე-2.3 ქვეპუნქტით შემსრულებელს შეუძლია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას ერთდროულად მიიღოს **14** პროფესიული სტუდენტი. კლინიკების ბაზაზე იგეგმება შემდეგი კლინიკური მოდულების განხორციელება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- **კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია;**
- **შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია;**

ექსპერტთა შეფასებით პრაქტიკული კომპონეტის სწავლის შედეგების მიღწევა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ ობიექტებზე უზრუნველყოფილია 84 სტუდენტისთვის.

6. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის „საექთნო განათლება“ კოლეჯს რაიმე სპეციფიური უსაფრთხო ნორმების შემუშავება და დაცვა არ სჭირდება. პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების განხორციელება გატანილია დაწესებულების გარეთ და პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულებები უზრუნველყოფენ უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოს შექმნას, რაც დასტურდება მათთან გაფორმებული ხელშეკრულებით. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს მხარეთა ვალებულებებს, მათ შორის პროფესიული სტუდენტებისთვის შემსრულებლის მიერ უსაფრთხოების წესების გაცნობას/დაცვას.

ადმინისტრაციული წარმოების დროს ექსპერტების მიერ მოხდა შემდეგი დოკუმენტების შესწავლა: უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი და მატერიალური-ტექნიკური რესურსებით სარგებლობის წესი; უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესის თანახმად კოლეჯი უზრუნველყოფს კოლეჯის კუთვნილი ქონების დაცვას, სახანძრო უსაფრთხოებას, სამედიცინო დახმარების აღმოჩენას კოლეჯის შენობა-ნაგებობაში და მის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის, რომელიც საჭიროებს აღნიშნულ დახმარებას, უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის მექანიზმების არსებობას და საჭიროების შემთხვევაში შენობაში მყოფთა ევაკუაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანამანათლებლო პროგრამა/მოდულები;
- პროგრამის სასწავლო გეგმა/კალენდარული გეგმა;
- პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების თითოეულ ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ამაგის“დირექტორის მიერ N 64 ბრძანებით 01.07.2020 დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება ;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ამაგის“ დირექტორის მიერ N 63 ბრძანებით 01.07.2020 დამტკიცებული კოლეჯის მარეგულირებელი დებულება;
- უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი;
- მატერიალური-ტექნიკური რესურსებით სარგებლობის წესი;
- სასწავლო გარემოს ფოტო-მასალა;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის გამართული მუშაობისათვის დაწესებულების მიერ შემუშავებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დებულებაში/მუხლი 23-28 გაწერილია: შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი, ასევე განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით საკითხები: რა ვადებში ეძლევა სტუდენტს განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რამდენჯერ შეუძლია გასვლა;

წინა ადმიისტრაციული წარმოების ფარგლებში გაცემული იყო რეკომენდაცია დაწესებულებამ მოიყვანოს სასწავლო გეგმა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ერთმანეთთან შესაბამისობაში, რომ არ დაირღვეს პროფესიული სტუდენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ინტერესები. ექსპერტთა შეფასებით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების დროს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება და სასწავლო გეგმა შესაბამისობაშია ერთმანეთთან, (მუხლი 26).

ექსპერტთა შეფასებით, იმ შემთხვევისთვის თუ მოდული, რომლის შედეგიც გაასაჩივრა სტუდენტმა სხვა მოდულის დაწყების წინაპირობაა, პროფესიულ სტუდენტს ეცნობება 2 სამუშაო დღის ვადაში. სტუდენტი უფლებამოსილია გაცნობიდან 1 სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს, სასწავლო პროცესის მენეჯერი საჩივრის მიღების ვადის ამოწურვიდან 1 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს ნაშრომის განხილვას პროცედურის დაცვით და საბოლოო გადაწყვეტილება ეცნობება სტუდენტს, ამგვარად დღეების რაოდენობა გამოდის 4 სამუშაო დღე, რაც სრულად ეტევა სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ერთკვირიან, სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობის დაკმაყოფილების ვადაში.

ექსპერტთა შეფასებით პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. დაწესებულების მიერ შემუშავებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება/მუხლი 29 მოიცავს შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის მექანიზმებს. ვერიფიკაციის მიმართულებებია შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ექსპერტთა შეფასებით ვერიფიკაციის პროცესი გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის მუდმივი წევრები არიან:

ა) ხარისხის მენეჯერი - ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს; ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ბ) სასწავლო პროცესის მენეჯერი - ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში და ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას დარგის სპეციალისტთან ერთად, ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობის ტექნიკურ მხარეს;

გ) პროგრამის ხელმძღვანელი - უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის ვერიფიკაციას;

დ) დარგის სპეციალისტი (საჭიროებისამებს, როდესაც პროგრამის ხელმძღვანელი არ არის დარგის სპეციალისტი) - ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში და ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას სასწავლო პროცესის მენეჯერთან ერთად შესაბამისობის ტექნიკურ მხარეს პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობის შინაარსობრივ მხარეს (დარგის სპეციალისტი არ უნდა იყოს შესამოწმებელი შეფასების ინსტრუმენტის შემქმნელი და განმახორციელებელი);სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დებულებას თან ერთვის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის მონაწილეთა ვალდებულებები და მოვალეობები.

ვერიფიკაციის შედეგები წარედგინება დირექტორს და დაინტერესებულ პირებს (მოდულის განმახორციელებელ პირს, პროფესიულ სტუდენტს).

ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება ახორციელებს პროგრამის „საექთნო განათლების“ შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციას, მათ მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი 2020 წლის 2 ივლისის ვერიფიკაციის ჯგუფის დასკვნა. ვერიფიკაციის მიზანია პროფესიული განათლების მასწავლებლებზე ზრუნვა და ჰისტოლოგიის მოდულის შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ინსტრუმენტის დახვეწა-განვითარება. ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებულია პროფესიული სტუდენტების შეფასების ინსტრუმენტის დახვეწისათვის და შემდგომი განვითარებისათვის.

3. მოდულის მიმდინარეობის განმავლობაში სტუდენტის დადასტურებული სწავლის შედეგების მტკიცებულებები ინახება მოდულის განმახორციელებელ პირთან. სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული ჯგუფისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორთფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ. უწყისის სასწავლო პროცესის მენეჯერისათვის ჩაბარების ვალდებულება ეკისრება შემფასებელს. სასწავლო პროცესის მენეჯერი ვალდებულია მოდულების შედეგების შეფასების მტკიცებულებები შეინახოს შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ერთი კვირის განმავლობაში, ნებისმიერი მტკიცებულება შეიძლება გაიტანოს პროფესიულმა სტუდენტმა მომართვის საფუძველზე; შემდეგ მტკიცებულებების განადგურება ნებადართულია.
4. ექსპერტთა შეფასებით პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კოლეჯის მარეგულირებელი დებულების შესაბამისად/მუხლი 8 სასწავლო პროცესის მენეჯერი ახდენს სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვებას, შესწავლას, კვლევას და განმავითარებელი საქმიანობის დაგეგმვა-განხორციელებას; სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებებს იგი ინახავს ცალკე საქმედ. სასწავლო პროცესის მენეჯერი პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის და წარჩინებულ სტუდენტთა შესახებ ინფორმაციას დროულად აწვდის კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ამაგის“ დირექტორის მიერ N 64 ბრძანებით 01.07.2020 დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება ;
- შპს საზოგადოებრივიკოლეჯი „ამაგის“ დირექტორის მიერ N 63 ბრძანებით 01.07.2020 დამტკიცებული კოლეჯის მარეგულირებელი დებულება;
- კოლეჯის ვებგვერდი;
- 2020 წლის 2 ივლისის ვერიფიკაციის ჯგუფის დასკვნა;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება პროგრამისთვის "ფარმაცია (სააფთიაქო)"

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

